

10/08/2026



MES 9 26 0001028771

## **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 27 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=81509653992>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

### **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

**ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

**გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

**ანა აროშიძე** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

**ეკატერინე გიგაშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

**გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ნათია მჭედლიძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო ხელაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მარიამ ჩოხელი** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი:**

თამარ კვინიკაძე - პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

თინათინ ბურძენიძე

ანა ქურციკიძე

გიორგი ჭიაურელი

მამუკა ბენაშვილი

ტიტე ბოლქვაძე

ბექარ კილასონია

ირმა ღარიბაშვილი

ეკა ბუთხუზი

დავით ბიტმალკიშვილი

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რექტორი – თეონა ხუფენია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – ზაალ ქორთუა

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი – მანანა სამუშია

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი – მანანა მოისწრაფიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის მოადგილე – შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი – ირმა არსენაშვილი

**შპს არსი**

კოლეჯის დირექტორი – ნათია ნოზაძე

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საბაჟო საქმე“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „ლითონის დამუშავება“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „საწყობის ოპერირება“, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, „ტვირთების ექსპედიტორება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა შეეხებოდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის ვადის გადავადებას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 13 თებერვლის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი. საბჭომ უნივერსიტეტს მიანიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და, ამავდროულად, მიიღო გადაწყვეტილება მონიტორინგის დანიშვნის შესახებ. მონიტორინგის ფორმა და ვადა დაზუსტდა 2026 წლის 6 მარტის საბჭოს სხდომაზე. კერძოდ, 5.1 კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტაციის გამოთხოვა, რომელიც შეეხებოდა სენაკის ლოკაციაზე სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენას. მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 29 ივნისი. დადგენილი ვადის შესაბამისად, ცენტრის მიერ უნივერსიტეტს გაეგზავნა წერილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2026 წლის 14 ივლისს, ცენტრში შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის, ბაია კვიციანის, წერილი, რომლითაც საბჭოს წინაშე წარდგენილ იქნა შუამდგომლობა უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული მონიტორინგის ვადის სამი თვით გადავადების შესახებ. მინისტრის მოადგილის წერილში მითითებული იყო, რომ უნივერსიტეტმა სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით, ვინაიდან დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადება. შეფერხების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სენაკის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ქსელში არსებული ხარვეზი, რის გამოც შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ უნივერსიტეტს დაავალა სენაკის ლოკაციაზე წყალმომარაგებისათვის საჭირო ავზების მოწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის რექტორმა სამინისტროს მიმართა თხოვნით, საბჭოს წინაშე ეშუამდგომლა მონიტორინგის ვადის სამი თვით გადავადების შესახებ. ცენტრი, როგორც შუალედური რგოლი, საბჭოს აცნობს

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციას. ასევე აღნიშნა, რომ შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსმა, თამარ კვინიკაძემ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ დაუშურებია ძალისხმევა, რათა დადგენილ ვადაში უზრუნველყო შესაბამისი სამუშაოების შესრულება. თუმცა, უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, საჭირო გახდა წყალმომარაგებისათვის შესაბამისი ავზების მოწყობა, რამაც შეაფერხა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადება. თამარ კვინიკაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ სამინისტრო თანახმაა უნივერსიტეტს გამოუყოს დამატებითი ფინანსური რესურსი სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრულად დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით. მისივე განმარტებით, სამინისტრო მუდმივ კომუნიკაციაშია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის ვადის სამი თვით გადავადების შესახებ.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის ვადის სამი თვით გადავადების შესახებ. მონიტორინგის ვადად განისაზღვრა 2026 წლის 27 ოქტომბერი. ამასთან, ცენტრში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება უცვლელი დარჩა.

**პირველი საკითხი:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საბაჟო საქმე“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „ლითონის დამუშავება“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხათუნა ჩხარტიშვილს და საბჭოს მდივანს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდათ აცილება. საბჭოს მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ ბურძენიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 2 ივნისის №660298 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (შემადგენლობით: თინათინ ბურძენიძე – თავმჯდომარე, ანა ქურციკიძე – ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, გიორგი ჭიაურელი, მამუკა ბენაშვილი და ტიტე ბოლქვაძე – დარგობრივი ექსპერტები) 2026 წლის 11 და 12 ივნისს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ (მისამართი: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ დამატებისათვის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („საბაჟო საქმე“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „ლითონის დამუშავება“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტი წარმართა შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, კონსტრუქციულ და საქმიან გარემოში. ჩატარდა გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე დათვალიერდა სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და პრაქტიკის ობიექტები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო ძირითადი მიგნებები და შეაჯამა შედეგები.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება**  
პროგრამის სახელწოდებაა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ (კოდი 0731), პროფესიული განათლების დონეა მეოთხე; მისანიჭებელი კვალიფიკაციით – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში. სწავლების ენა გახლავთ ქართული, ხოლო განხორციელების მისამართია ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტს (ინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში: 113 კრედიტი ქართულენოვანთათვის და 143 კრედიტი არაქართულენოვანთათვის).

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (კომპონენტი 2.1), შეფასება და განვითარება (კომპონენტი 2.3), ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასების სისტემა (კომპონენტი 2.4) შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. პროგრამა ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, ემსახურება სარკინიგზო ინფრასტრუქტურის საჭიროებებს, დაშვების წინაპირობები მკაფიოა, ხოლო

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაციის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსებით უზრუნველყოფის კომპონენტში (2.2), კერძოდ 2.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით გამოვლინდა შეუსაბამობა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას დადგინდა, რომ კოლეჯს არ გააჩნია ციფრული/ელექტრონული ნიველირი, ხოლო არსებული ელექტრონული თეოდოლიტი ვერ გამოიყენება საველე პრაქტიკაში შესაბამისი ლარტყის არქონის გამო. გარდა ამისა, კომპიუტერულ კლასში არსებული დარგობრივი პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილი არ არის ლიცენზირებული. აღნიშნულის გამო, 2.2.1.1 ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო მთლიანი 2.2 კომპონენტი – სტანდარტთან შეუსაბამოდ.

#### **გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება:**

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

#### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:**

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ კომპიუტერულ კლასში უზრუნველყოს შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების ჩატვირთვა (მაგ. Autodesk Civil3D, ESRI ArcGIS PRO ან მათი ფუნქციური ანალოგებით).

2.2.1.1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება პარტნიორ ორგანიზაციებთან ან დარგობრივ საწარმოებთან.

2.2.1.1. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადახედოს B გარემოს (კომპიუტერული კლასი №304) და C გარემოს (პრაქტიკული სასწავლო ლაბორატორია №107) სივრცობრივ-ლოგისტიკურ განლაგებას.

2.2.1.3. რეკომენდირებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისა და დარგობრივი გუნდის შემდგომი განვითარებისთვის, დაწესებულებამ იზრუნოს ადამიანური რესურსის ეტაპობრივ გაძლიერებაზე.

2.2.1.3 რეკომენდირებულია მოდულის „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამჟომველ-ტოპოგრაფიის სამუშაოს შესრულებისას“ განსახორციელებლად შერჩეულ პერსონალს ჩაუტარდეს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი/გადამზადება.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა პროგრამის განხორციელების ფორმა (იმიტირებულ სამუშაო გარემოში), თუმცა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით შეფასება და გაცემული რეკომენდაციები დატოვა უცვლელი.

#### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ლითონის დამუშავება**

პროგრამის სახელწოდებაა „ლითონის დამუშავება“ (კოდი 0715), პროფესიული განათლების დონეა მეოთხე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში. სწავლის ენა არის ქართული, ხოლო განხორციელების მისამართია ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. პროგრამის განხორციელების ფორმაა რეალურ სამუშაო გარემოში (სწავლების კოოპერაციული ფორმა). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს (19 სასწავლო თვე), ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტს (24 სასწავლო თვე). პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული პროგრამა მე-2 სტანდარტის ყველა კომპონენტთან და ინდიკატორთან მიმართებით არის სრულად შესაბამისი. პროგრამა შეესაბამება კოლეჯის

სტრატეგიასა და შრომის ბაზრის (კერძოდ, სს „საქართველოს რკინიგზის“) მოთხოვნებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯის საკუთარ სახელოსნოებსა და პოლიგონზე, ისე პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემები“, №3-26 ხელშეკრულება) თანამშრომლობით. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ობიექტურია.

ხარვეზები არ გამოვლენილა, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციების არ გაცემულა.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი**

პროგრამის სახელწოდებაა „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ (კოდი 0715), პროფესიული განათლების დონეა მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში. სწავლების ენას წარმოადგენს ქართული, ხოლო განხორციელების მისამართია ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. პროგრამის განხორციელების ფორმაა რეალურ სამუშაო გარემოში (სწავლების კოოპერაციული ფორმა). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 120 კრედიტი (25 სასწავლო თვე), ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150 კრედიტი (30 სასწავლო თვე). პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60-ს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ანალიზით, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროგრამა მე-2 სტანდარტის ყველა კომპონენტისა და ინდიკატორის მიხედვით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები მჭიდრო კავშირშია კოლეჯის მისიასთან. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზება უზრუნველყოფილია პარტნიორ საწარმოსთან (შპს „ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემები“, №2-26 ხელშეკრულება) გაფორმებული შეთანხმებით, აგრეთვე კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოებით. ადამიანური რესურსი (25 მასწავლებელი) და ფინანსური მოდელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. შეფასებისა და ვერიფიკაციის მექანიზმები სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობას.

ხარვეზები არ გამოვლენილა, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციების არ გაცემულა.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბაჟო საქმე**

პროგრამის სახელწოდებაა „საბაჟო საქმე“ (კოდი 1032), პროფესიული განათლების დონეა მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში. სწავლის ენა გახლავთ ქართული, ხოლო განხორციელების მისამართია ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. პროგრამის განხორციელების ფორმაა რეალურ სამუშაო გარემოში (სწავლების კოოპერაციული ფორმა). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 93 კრედიტს (18 სასწავლო თვე), ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 123 კრედიტს (23 სასწავლო თვე). მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 60.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ მე-2 სტანდარტის ყველა კომპონენტთან და ინდიკატორთან მიმართებით არის სრულად შესაბამისი. პროგრამის დანერგვა ემსახურება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის კომპლექსურ განვითარებას. პრაქტიკული სწავლების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილია სტრატეგიულ პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (სსიპ „შემოსავლების სამსახური“, შპს „თბილისი დრაი პორტი“, ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების



ასოციაცია“ და შპს „პი ემ მოტორს“). კოლეჯს გააჩნია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საბაჟო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი აუდიტორიები, კვალიფიციური პერსონალი (33 მასწავლებელი) და ხარისხის მართვის ეფექტური შიდა სისტემა. ხარვეზები არ გამოვლენილა, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციების არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ცენტრს დამატებითი ინფორმაცია წარუდგინა. მისი განმარტებით, აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, იმ კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ელექტრონული/ციფრული ნიველირის არსებობას, დაწესებულებამ პარასკევს შეიძინა შესაბამისი აღჭურვილობა და ცენტრს წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისივე განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაციის იმავე დღეს საბჭოსთვის წარდგენა ვერ მოხერხდა, რის გამოც მიმდინარე დღის დილით იგი გაეგზავნა საბჭოს წევრებს, დარგის ექსპერტსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დარგის ექსპერტს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, კოლეჯი გეგმავდა საბაჟო საქმის პროგრამაზე წელიწადში 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორ ნაკადად, ხოლო სსიპ – შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა წელიწადში 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ მოხდებოდა მეორე ნაკადის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაზე განაწილება იმ სწავლის შედეგებთან მიმართებით, რომელთა მიღწევაც მხოლოდ შემოსავლების სამსახურის მონაწილეობით იყო შესაძლებელი.

დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის პროცესში დეტალურად იქნა განხილული. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულების დედანი. ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკული სწავლება როტაციის პრინციპით განხორციელდებოდა. ტიტე ბოლქვაძის განმარტებით, პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიდნენ როგორც სსიპ – შემოსავლების სამსახურში, ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებში, ხოლო მათი გადანაწილება დაწესებულების მიერ შესაბამისი გრაფიკის შესაბამისად მოხდებოდა. ამასთან, განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახური დადგენილ კვოტაზე მეტი პროფესიული სტუდენტის მიღებას ვერ შეძლებდა, პრაქტიკული სწავლება შესაძლებელი იქნებოდა შპს „თბილისი დრაი პორტის“ ბაზაზეც. ექსპერტის შეფასებით, შპს „თბილისი დრაი პორტს“ გააჩნია შესაბამისი საბაჟო ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბაჟო კონტროლის ზონა, კონტეინერების ტერმინალი, სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლისა და მსუბუქი ავტომობილების განბაჟების შესაძლებლობა. მისივე განმარტებით, აღნიშნული ობიექტი ფუნქციონირებს, როგორც მინი საბაჟო და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, პროფესიული სტუდენტების როტაციის წესი პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ყოფილიყო განსაზღვრული. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა,



შპს „პიემ მოტორსში“, როგორც დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციაში, საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სწავლის შედეგების მიღწევა იყო გათვალისწინებული.

დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, განმარტა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში პროფესიული სტუდენტები გაივლიდნენ საწარმოო პრაქტიკას, რომელიც მოიცავდა დეკლარირებისა და საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებულ კომპონენტებს. მისი განმარტებით, კომპანია იმპორტისა და ექსპორტის მიმართულებით საქმიანობს და ჰყავს შესაბამისი თანამშრომლები, რომლებიც აღნიშნულ პროცედურებს ახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, შეესაბამებოდა თუ არა შპს „პიემ მოტორსის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საბაჟო პროცედურების განხორციელების სპეციფიკას. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ კომპანიას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასაწყობე სივრცე, ტვირთებისა და პალეტების განთავსების შესაძლებლობა, ასევე დეკლარირების პროცედურების განხორციელებისთვის საჭირო პირობები.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა, კვირაში რამდენ საათიანი დატვირთვით იყო გათვალისწინებული იმ მოდულის განხორციელება, რომლის პრაქტიკული კომპონენტი სსიპ – შემოსავლების სამსახურში ხორციელდებოდა. დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, განმარტა, რომ მოდულის კვირეული დატვირთვა, სავარაუდოდ, 25 ან 30 საათს შეადგენდა, თუმცა ზუსტი ინფორმაცია სასწავლო გეგმაში იყო ასახული. ამასთან, აღნიშნა, რომ საუბარი ეხებოდა საწარმოო პრაქტიკის მოდულს, ხოლო შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით პრაქტიკული სწავლება სხვა მოდულებითაც იყო გათვალისწინებული, მათ შორის „საბაჟო დეკლარირების“ მოდულით. დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მოისწრაფიშვილმა, დააზუსტა, რომ მოდულის კვირეული დატვირთვა 25 საათს შეადგენდა.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა სწავლების ორ ცვლაში განხორციელება. მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, სწავლების ორ ცვლაში განხორციელება დასაშვები იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ სწავლების შესაბამისი განრიგით ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვა. დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის გააჩნია „iCustoms“-ის პროგრამული უზრუნველყოფა. მისივე განმარტებით, შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილია სატესტო გარემო, რომელშიც პროფესიული სტუდენტები დეკლარირების პროცედურებს პრაქტიკულად ასრულებენ, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალითაც დასტურდებოდა. ამასთან, აღნიშნა, რომ დეკლარირების პროცედურების სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს დაწესებულების ბაზაზეც. ტიტე ბოლქვაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, ხოლო თითოეულ პედაგოგს პროფესიული განათლების სფეროში სწავლების შესაბამისი გამოცდილება გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, თინათინ ბურძენიძეს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით. მან აღნიშნა, რომ მოქმედი წესის შესაბამისად, ვერიფიკატორი არ უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტის ავტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც დარგობრივი მოდულების განხორციელებაში რამდენიმე პედაგოგია ჩართული, როგორ იყო უზრუნველყოფილი შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების შედეგების დამოუკიდებელი ვერიფიკაცია. თინათინ ბურძენიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსი გააჩნდა. მისი განმარტებით, პროგრამის განხორციელებაში ერთზე მეტი დარგობრივი პედაგოგი მონაწილეობდა, რაც ვერიფიკაციის პროცესის ინტერესთა კონფლიქტის გარეშე წარმართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. ამასთან, აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს კითხვები არ გასჩენია.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, ასევე დაინტერესდა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხით. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ პედაგოგი პროფესიული სტუდენტის წერილობით დახასიათებას ამზადებდა, რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელი ეცნობოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, როგორ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული სტუდენტისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება და პერსონალური მონაცემების დაცვა, რათა სტუდენტის შეფასება და ინდივიდუალური მახასიათებლები სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო. თინათინ ბურძენიძემ განმარტა, რომ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პირობებში ექსპერტთა ჯგუფს პროფესიულ სტუდენტებთან აღნიშნული საკითხის გადამოწმების შესაძლებლობა არ ჰქონდა. მისი განმარტებით, საკითხი გადამოწმდა პედაგოგებთან გასაუბრების გზით, რომლებმაც განმარტეს, რომ პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეფასების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ინდივიდუალურად მიეწოდებოდა და საჯაროდ ან ჯგუფურ ფორმატში არ განიხილებოდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების მასობრივი დაუდასტურებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერი საკითხს პროგრამის ხელმძღვანელსა და შესაბამის პედაგოგთან ერთად განიხილავს და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუების ან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოავლინა თუ არა მსგავსი შემთხვევის კონკრეტული მაგალითი და შესაბამისი რეაგირების პრაქტიკა. თინათინ ბურძენიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფმაც გაამახვილა ყურადღება. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცედურა დაწესებულების შიდა რეგულაციებით იყო განსაზღვრული, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, არსებობდა თუ არა მისი პრაქტიკაში გამოყენების მაგალითი. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, აღნიშნული პროცედურის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითიც არ არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თინათინ ბურძენიძეს, მიმართა დამაზუსტებელი კითხვით და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2.2.1.4 ინდიკატორთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელის შეფასების ნაწილში მითითებული იყო „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო 2.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით სათაური დუბლირებული იყო და ტექსტი სრულად არ იყო წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ცენტრისთვის დასკვნის დაზუსტებული და სრულყოფილი რედაქციის წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი იყო და ცენტრს წარედგინებოდა დასკვნის დაზუსტებული რედაქცია.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, ასევე დაინტერესდა „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების ნორმებით და იკითხა, გადაამოწმა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამისთვის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაცია, სახელოსნოები და აღჭურვილობა. თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამისთვის სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების ნორმები არ იყო ასახული, რის გამოც აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას ვიზიტის დროს დაუსვა. მისი განმარტებით, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინა. ამასთან, აღნიშნა, რომ სამივე პროგრამისთვის შემუშავებული იყო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი შრომის

უსაფრთხოების ნორმები, რომლებიც აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც არის გამახვილებული და შესაბამისი დაზუსტება აისახება დასკვნის საბოლოო რედაქციაში.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, ასევე დაინტერესდა, გადაამოწმა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დაზგები, დამცავი ფარები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და პერსონალისთვის პროგრამასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება. თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებით იქნა შესწავლილი, ვინაიდან „ლითონის დამუშავებისა“ და „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ახალი სახელწოდებით იყო წარმოდგენილი, თუმცა დაწესებულებას აღნიშნული მიმართულებით სწავლების გამოცდილება გააჩნდა. მისივე განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა როგორც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ისე პერსონალის ცოდნა დანადგარების უსაფრთხო გამოყენების შესახებ. ამასთან, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებდა უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობის არსებობას.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, ასევე დაინტერესდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2.3.1 და 2.3.4 ინდიკატორებთან დაკავშირებით, რომლებიც სსსმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერასა და შეფასების პროცესის ადაპტირებას შეეხებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მიმართა კითხვით, როგორ იყო განსაზღვრული ტექნიკური მიმართულების პროგრამებზე პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტების შეფასების ადაპტირება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო როგორც ინკლუზიური განათლების პრინციპების, ისე დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნების დაცვა. თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დამატებითი კითხვებიც დასვა. მისი განმარტებით, დაწესებულებას მსგავსი საჭიროება პრაქტიკაში არ ჰქონია, თუმცა შესაბამისი პროცედურები დოკუმენტურად ჰქონდა განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფდა შესაბამისი რესურსებისა და ინვენტარის მობილიზებას, რათა სსსმ პროფესიულ სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა შეეძნოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, „ლითონის დამუშავების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაინტერესდა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2.1 კომპონენტის მიხედვით მოთხოვნილი 40 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რატომ ითვალისწინებდა 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში შპს „ნოვატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას და უზრუნველყოფდა თუ არა პრაქტიკის ობიექტი 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხარისხის ექსპერტმა, თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა და დაადასტურა, რომ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა 40 პროფესიულ სტუდენტს შეადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, „ლითონის დამუშავების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაინტერესდა, შეიცავდა თუ არა 2.1.1.8 ინდიკატორით გათვალისწინებული გაცნობითი პრაქტიკის დისტანციურად განხორციელება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რისკს. ხარისხის ექსპერტმა, თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ გაცნობითი პრაქტიკის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა შესაბამისი სტანდარტით არის გათვალისწინებული და პრობლემას არ წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა 12-საათიანი გრაფიკით: დასკვნაში მითითებულია, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ორ ცვლაში — რამდენად უსაფრთხოა და შეესაბამება შრომის ნორმებს ლითონის დამუშავების სახელოსნოებში ასეთი ინტენსიური

გრაფიკით მუშაობა. მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ ლითონის საამქროში განთავსებულია 7 სხვადასხვა სახის დაზგა და მათ შორის დისტანცია იმგვარადაა დაცული, რომ თითოეულ დაზგასთან დამოუკიდებლად მუშაობაა შესაძლებელი. მან ასევე დასძინა, რომ ყველა დაზგა ერთდროულად ვერ ჩაირთვება, ვინაიდან სასწავლო პროცესი სხვადასხვა დროს მიმდინარეობს. რაც შეეხება გაცნობით პრაქტიკას, განმარტა, რომ საქართველოს ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ დისტანციურ სწავლებას არ ახორციელებს, ხოლო ჰიბრიდული სწავლების რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე პროგრამაზე. შესაბამისად, ზღვრული რაოდენობის დადგენა ხდება უშუალოდ კოლეჯში არსებული ფიზიკური სწავლების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ, ქალბატონი ნანი დალაქიშვილის განმარტების შესაბამისად, კოლეჯმა დამატებით წარმოდგინა დოკუმენტაცია — კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ კოლეჯმა დამატებით შეისყიდა: ლაზერული ნიველირი, ელექტრონული ნიველირი, სანიველირო ლარტყები, ლაზერული მანძილმზომი, მანძილმზომის ამრეკლი, ეკლიმეტრი და ტრანსპორტირი.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრისგან მიიღო ინფორმაცია განხორციელებული შესყიდვების თაობაზე და იკითხა, რამდენად უზრუნველყოფს ახლად შეძენილი აღჭურვილობა და ხელსაწყოები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას.

დარგის ექსპერტმა გიორგი ჭიაურელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი წერილისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაცნობისას გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობები. კერძოდ, აქტის მე-7-ე პუნქტში მითითებულია „ელექტრონული ნიველირი“, თუმცა მისი სწორი დარგობრივი ტერმინია „ციფრული ნიველირი“, როგორც ეს თავდაპირველ დასკვნაშიც იყო დაფიქსირებული. ამასთან, აქტით დასტურდება ჩინური „South“-ის ფირმის ნიველირის შეძენა, ხოლო წარმოდგენილ ფოტოსურათზე ასახულია ბევრად მაღალი ხარისხის „Leica Sprinter“-ის მოდელი. ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა კოლეჯის პოზიციაში არსებულ ბუნდოვანებაზე: 9 ივნისის არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულება აცხადებდა, რომ ხელსაწყოს შეძენას არ აპირებდა, თუმცა დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესყიდვის ხელშეკრულება ჯერ კიდევ 25 მაისს იყო გაფორმებული.

საბჭოს წევრის კითხვაზე პასუხად ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ნიველირი შეძენილია და იგი სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, შესაძლებელი იყო თუ არა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული ოპტიკური ნიველირისა და თეოდოლიტის გამოყენებით და რა განსხვავება იყო აღნიშნულ მოწყობილობებსა და ციფრულ ნიველირს შორის.

დარგის ექსპერტმა, გიორგი ჭიაურელმა, განმარტა, რომ უმაღლესი განათლების საფეხურზე თეორიული საკითხების შესწავლა შესაბამისი ხელსაწყოს გარეშე შესაძლებელია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კი პროფესიული უნარების გამომუშავებასა და პრაქტიკული ამოცანების შესრულებას ითვალისწინებს. შესაბამისად, ციფრულ ნიველირზე მუშაობის უნარის გამომუშავება ოპტიკური ნიველირის გამოყენებით შეუძლებელია.

გიორგი ჭიაურელმა ასევე ყურადღება გაამახვილა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობის გაძლიერების შესახებ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე. მისი განმარტებით, ათი ძირითადი დარგობრივი მოდულის განსახორციელებლად წარმოდგენილი იყო სამი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან არც ერთს არ უდასტურებოდა შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია, ხოლო მხოლოდ ერთს ჰქონდა მსგავსი პროგრამის ფარგლებში სწავლების გამოცდილება. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული შემადგენლობით ათი დარგობრივი მოდულის განხორციელება რისკის შემცველი იყო.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დანართის თანახმად, შრომის უსაფრთხოების მოდულის განმახორციელებელ პირს ჰქონდა დროებითი ლიცენზია და

რკინიგზის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. თუმცა, ტოპოგრაფიული სამუშაოების სწავლება დამატებით უსაფრთხოების რისკებს შეიცავდა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარების რეკომენდაცია გასცა, რომელიც დაწესებულებამ არ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დასკვნაში ხარვეზად შეფასებულ გარემოებაზე და აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან დაკავშირებული საკითხი განმავითარებელ რეკომენდაციად იყო ასახული. მისი განმარტებით, განმავითარებელი რეკომენდაციის გათვალისწინება დაწესებულების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ხოლო ხარვეზი სავალდებულო გამოსწორებას ექვემდებარება. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, თუ ექსპერტთა ჯგუფმა მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი დაინახა, რატომ არ შეფასდა აღნიშნული გარემოება ხარვეზად. დარგის ექსპერტმა, გიორგი ჭიაურელმა, განმარტა, რომ პროგრამა ჯერ არ ხორციელდებოდა და ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციის გათვალისწინებაში მნიშვნელოვანი სირთულე ვერ დაინახა, რის გამოც საკითხი ხარვეზად არ შეფასებულა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის გარეშე პროგრამის განხორციელება კითხვებს აჩენდა და აღნიშნული საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კონკრეტული ხელსაწყო არარსებობა. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩარჩო დოკუმენტსა და სწავლის შედეგების რუკაში ციფრული ნიველირის გამოყენების აუცილებლობა პირდაპირ მითითებული არ იყო. შესაბამისად, დარგის ექსპერტს სთხოვა დაეხუსტებინა, კონკრეტულად რომელი მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო შეუძლებელი კოლეჯის მფლობელობაში არსებული ოპტიკური ან ლაზერული ნიველირის გამოყენებით. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ სტანდარტის დანართი №1 განსაზღვრავდა სასწავლო გარემოსა და მინიმალურ მატერიალურ რესურსებს, რომელთა არსებობა სავალდებულო იყო და სარეკომენდაციო ხასიათს არ ატარებდა. მისივე თქმით, აღნიშნული დანართი ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ სტანდარტს თან ერთვოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს საკუთარი საჭიროებების შესაბამისად ამუშავებდა და მოდულებიდან გამომდინარე განსაზღვრავდა საჭირო მატერიალურ რესურსებს. ამასთან, მოდულებში ციფრული ნიველირის გამოყენების აუცილებლობა პირდაპირ მითითებული არ იყო. ელენე კაკაბაძემ განმარტა, რომ მისი კითხვების მიზანი დარგის ექსპერტის პოზიციის დაზუსტება და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეფასება იყო. მისი შეფასებით, დაწესებულების არგუმენტები დასაბუთებული იყო, ხოლო დასკვნაში მათზე წარმოდგენილი პასუხი დამატებით განმარტებასა და გაძლიერებას საჭიროებდა.

ხარისხის ექსპერტმა, თინათინ ბურძენიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ციფრული ნიველირი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსად იყო განსაზღვრული, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გაცნობის შემდეგ კოლეჯმა დოკუმენტაცია შეცვალა და აღნიშნული ხელსაწყო რესურსების ჩამონათვალიდან ამოიღო. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება თავდაპირველად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განახორციელა, რომლის თანახმადაც ციფრული ნიველირი სასწავლო პროცესში უნდა გამოყენებულიყო, თუმცა ვიზიტის დროს იგი ადგილზე არ აღმოჩნდა. შესაბამისად, მოგვიანებით წარმოდგენილი განმარტება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა არსებული ხელსაწყოებითაც შესაძლებელი იყო, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა.

თინათინ ბურძენიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე დარგის ექსპერტთან დეტალური მსჯელობა გაიმართა. მისი განმარტებით, კოლეჯის ბაზაზე არსებული ოპტიკური ნიველირი ძველი ტიპის მოწყობილობა იყო, ხოლო ციფრული ნიველირის გამოყენება განსხვავებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას ითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დარგის ექსპერტს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, პროგრამით განსაზღვრული რომელი სწავლის შედეგის მისაღწევად იყო საჭირო ციფრული ნიველირის გამოყენება.

დარგის ექსპერტმა, გიორგი ჭიაურელმა, განმარტა, რომ ოპტიკურ და ციფრულ ნიველირებზე მუშაობა განსხვავებულ პრაქტიკულ უნარებს მოითხოვდა. მისი თქმით, ოპტიკური ნიველირის გამოყენებისას ანათვლის აღება ვიზუალურად ხდება, ხოლო ციფრული ნიველირი მონაცემს ავტომატურად იღებს და მის გამოყენებას შესაბამისი გარემო პირობების დაცვა სჭირდება. ამასთან, მოწყობილობა მგრძნობიარეა მოძრაობის, განათებისა და ჩრდილის მიმართ, რის გამოც მასთან მუშაობა სპეციფიკურ უნარებს მოითხოვს..

გიორგი ჭიაურელმა ასევე აღნიშნა, რომ ციფრული ნიველირის გამოყენებისთვის საჭიროა შესაბამისი შტრიხკოდირანი სანიველირო ლარტყა. წარმოდგენილ ფოტოებსა და შესყიდვის დოკუმენტაციაში აღნიშნული ტიპის ლარტყა მკაფიოდ არ იკვეთება, თუმცა შესაძლებელია,, ფოტოზე იგი სათანადო მხრიდან არ ყოფილიყო წარმოდგენილი. მისივე შეფასებით, მომწოდებელი კომპანია გეოდეზიური ხელსაწყოების მიმართულებით გამოცდილი იყო და შესაბამისი აღჭურვილობის შერჩევისას ტექნიკურ შეუსაბამობას ნაკლებად დაუშვებდა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ოპტიკურ ნიველირზე მუშაობის გამოცდილება ციფრულ ნიველირთან მუშაობისთვის საკმარისი არ არის, ვინაიდან აღნიშნული ხელსაწყო განსხვავებულ პრაქტიკულ უნარებს მოითხოვს. მან დადებითად შეაფასა კოლეჯის მიერ ციფრული ნიველირის შეძენა და აღნიშნა, რომ მისი გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს თანამედროვე ხელსაწყოებით პრაქტიკული ამოცანების შესრულების შესაძლებლობას მისცემს. დარგის ექსპერტმა, გიორგი ჭიაურელმა, აღნიშნა, რომ იმავე დღეს წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია თავდაპირველად რომ ჰქონოდა, შესაბამის კომპონენტს „არ შეესაბამება“ შეფასებით არ შეაფასებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტს ამ ეტაპზე შეფასების ფორმულირება აღარ შეუძლია, თუმცა მისი განმარტებიდან იკვეთება, რომ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს.

დარგის ექსპერტმა აღნიშნულს დაეთანხმა და განმარტა, რომ იმავე დღეს წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაბამისობა დადასტურდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს, მანანა მოისწრაფიშვილს, მიმართა კითხვით, არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული პროგრამული პაკეტების (CAD/ქადაგი) შეძენა და განახლება რა ვადაში განხორციელდებოდა და დასრულდებოდა თუ არა მათი ინსტალაცია პროფესიულ სტუდენტთა პირველი ნაკადის მიღებამდე. მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ პროგრამული პაკეტების შეძენა და ინსტალაცია პირველი ნაკადის მიღებისთანავე, შესაბამისი დაფინანსების მიღების შემდეგ განხორციელდება.

საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში რამდენად სრულყოფილად იყო დოკუმენტურად განსაზღვრული ინტეგრირებული მოდულების შეფასების სისტემა და უზრუნველყოფს თუ არა იგი სწავლის შედეგების სათანადო შეფასებას.

ხარისხის ექსპერტმა თინათინ ბურძენიძემ განმარტა, რომ კოლეჯს აქვს ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისა და შეფასების გამოცდილება. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში საკითხი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განიხილეს დაწესებულების წარმომადგენელ მანანა მოისწრაფიშვილთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან, ხოლო ჩატარებული გასაუბრებების შედეგად სრულად დაზუსტდა შეფასების პროცესისა და კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და სხდომაზე გაკეთებულ განმარტებებს. მან ყურადღება გაამახვილა „აზომვით-ტოპოგრაფიული

სამუშაოების შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2.2.1.1 ინდიკატორის შეფასებაზე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო 2.1., 2.3 და 2.4 კომპონენტები შეფასებული იყო როგორც, „შეესაბამება“.

ელენე კაკაბაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროგრამის განხორციელებისთვის შეძენილი აღჭურვილობის ჩამონათვალი, მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტომასალა. დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პერიოდში რომ ჰქონოდა, შესაბამისი შეფასება „არ შეესაბამება“ არ იქნებოდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა 2.2.-ის შეფასების შეცვლა „შეესაბამება“ შეფასებით. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული პოზიცია და 22.-ის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „შეესაბამება“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საბაჟო საქმე“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „ლითონის დამუშავება“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ დამატების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „საბაჟო საქმე“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“, „ლითონის დამუშავება“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“ (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 ივლისი.

**მეორე საკითხი:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „საწყობის ოპერირება“, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, „ტვირთების ექსპედიტორება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა



საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხათუნა ჩხარტიშვილს და საბჭოს მდივანს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდათ აცილება. საბჭოს მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი.

## **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ბექარ კილასონია (თავმჯდომარე), ტიტე ბოლქვაძე და ირმა ღარიბაშვილი (წევრები), დაევალა ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ მიერ წარმოდგენილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („საწყობის ოპერირება“, „ტვირთების ექსპედირება“ და „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შეფასება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 4 და 5 ივნისს განახორციელა ვიზიტები დაწესებულებაში, მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტები თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური, IT, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა, პროგრამების მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, ასევე პრაქტიკის ობიექტების მზაობა გაზრდილი კონტინგენტის მისაღებად. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

## **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საწყობის ოპერირება**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის კოოპერაციულ პროგრამას. პროგრამის დასრულებისას გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0416), სწავლების ენა არის ქართული და იგი ხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 140 ადგილს, საიდანაც 100 ადგილი განკუთვნილია არაინტეგრირებულ, ხოლო 40 ადგილი – ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტს (ინტეგრირებულის შემთხვევაში, შესაბამისად, 118 და 148 კრედიტს).

მეორე სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორის მიხედვით, პროგრამა სრულად უზრუნველყოფილია განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისას დადგინდა, რომ კოლეჯს გამოყოფილი აქვს შესაბამისი A (№407, №306, №501), B (№401, №304, №408) და ინტეგრირებული ABC (№106) აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით. ფლობაშია სპეციალიზებული ლოგისტიკური პროგრამა „Software Carlo“ (10+1 ლიცენზია), პალეტის ჰიდრავლიკური ურიკები, შტრიხკოდის აპარატები, სასწორები და ევრო პალეტები. პრაქტიკული კომპონენტისთვის გაფორმებულია ხელშეკრულებები სს „საქართველოს რკინიგზასთან“ და სს „გუდვილთან“ (თითოეულის გამტარუნარიანობა – 30 სტუდენტი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 41 მასწავლებელი (12 პროფესიული, 15 ზოგადი, 14 ინტეგრირებული), რომელთა დატვირთვა რეგულირდება კვირაში მაქსიმუმ 40 საათით (შეთავსებისას – 20 საათით). პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და გავლილი აქვს ტრენინგები. პროგრამას უძღვება 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი (მოქმედი პრაქტიკოსები). ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით, OpenBiblio სისტემითა და „საკანონმდებლო მაცნეს“ წვდომით. უზრუნველყოფილია სსსმ პირთა მხარდაჭერისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მექანიზმები. ფინანსური მდგრადობა დასტურდება საპროგნოზო ბიუჯეტითა და ვაუჩერული/პროგრამული დაფინანსებით (რენტაბელობის ზღვარი – 10 სტუდენტი). ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ტვირთების ექსპედიტორება**

აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის კოოპერაციულ პროგრამას. პროგრამის დასრულებისას გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედიტორებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0413), სწავლების ენა არის ქართული და იგი ხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 140 ადგილს (100 არაინტეგრირებულ და 40 ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტს (ინტეგრირებულის შემთხვევაში, შესაბამისად, 118 და 148 კრედიტს).

აღინიშნა, რომ პროგრამა სრულად უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია A (№407, №307, №501), B (№401, №304, №408) და ABC (№106) აუდიტორიები, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერებით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და სპეც-ინვენტარით (პალეტის ჰიდრავლიკური ტვირთამწეები, კონტეინერები, ყუთები, კასრები, პროგრამა „Software Carlo“). საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სს „საქართველოს რკინიგზასა“ და სს „გუდვილში“ (თითოეულთან 30 სტუდენტის მიღების ლიმიტით). პროგრამას ახორციელებს 37 მასწავლებელი (8 პროფესიული, 15 ზოგადი, 14

ინტეგრირებული), რომელთა დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად კონტროლდება. პერსონალი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციასა და სერტიფიკატებს. პროგრამას ჰყავს 2 დარგობრივი ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები ხელმისაწვდომია, ხოლო სსსმ პირთათვის შემუშავებულია ადაპტირებისა და ინდივიდუალური გეგმების მარეგულირებელი წესები. ფინანსური გათვლებით დადასტურებულია პროგრამის მდგრადობა და 10-სტუდენტური რენტაბელობის ზღვარი. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისობაში მყოფი.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**

პროგრამა წარმოადგენს პროფესიული განათლების მეხუთე დონის კოოპერაციულ პროგრამას. პროგრამის დასრულებისას გაიცემა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0712), სწავლების ენა არის ქართული და იგი ხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 160 ადგილს (მხოლოდ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150 კრედიტს.

აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია AC (№305, №405, №409, №509) და B (№301a) ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც უზრუნველყოფილია სათანადო ავეჯით, საპრეზენტაციო და კომპიუტერული ტექნიკით. საწარმოო პრაქტიკის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (ერთდროულად 40 სტუდენტის მიღების შესაძლებლობით), სადაც სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. პროგრამას ახორციელებს 26 მასწავლებელი (14 პროფესიული, 12 ზოგადი), რომელთა კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება და დატვირთვა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე მოქმედი პრაქტიკოსი ხელმძღვანელი. საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსები სრულად ხელმისაწვდომია, ხოლო სსსმ პირებისთვის არსებობს მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ადაპტირების მექანიზმები. საპროგნოზო ბიუჯეტისა და სახელმწიფო დაფინანსების ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „საწყობის ოპერირება“, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, „ტვირთვების ექსპედირება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში

ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) ) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 140 - ით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 160 - ით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 140 - ით **(დანართი 2)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 ივლისი.

**მესამე საკითხი:** შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრს, ეკატერინე გიგაშვილს ჰქონდა აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის

N672864 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელონ ვიზიტი შპს არსში 2026 წლის 3 ივლისს (მის.: რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა N 12). ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 03 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს არსში (მის.: რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა N 12). ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდი, კოლეგიალური და საქმიანი ვითარებაში.

აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოფიციალური კორესპონდენციით (16/07/2026, №00000072) შპს კოლეჯი არსი სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

დაწესებულების მიერ დამატებაზე წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „Front-end დეველოპმენტი“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას Front-end დეველოპმენტში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0612). პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტებია ბრძანება №1-16 (24.04.2026), ხოლო სწავლების ენას წარმოადგენს ქართული. პროგრამის განხორციელების მისამართია ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა №12, ხოლო განხორციელების ფორმად განსაზღვრულია იმიტირებული სამუშაო გარემო. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 34-ს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა პროგრამას არ გააჩნია. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 90 კრედიტს (რაც მოიცავს ქართული ენის A2 და B1 მოდულებს). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (34 სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (ინდიკატორი 2.1.1) ანალიზისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში დანერგილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადაწყვეტილება „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და რეგიონული საჭიროებების სიღრმისეულ კვლევას, შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო მიღებისა და ადმინისტრირების პროცედურები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი მზაობის მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (34) გაანგარიშება ეყრდნობა შესაბამის მეთოდოლოგიას, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო გარემო, ტექნიკური აღჭურვილობა, პედაგოგთა რესურსი და ფინანსური მდგრადობა. პროგრამა მოიცავს საჭირო მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებს, არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის მიერ, ხოლო მისი სახელწოდება სრულად შეესაბამება შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური ბაზით. მოდულების განხორციელება იგეგმება დისტანციურად (Zoom, Discord, Git, GitHub პლატფორმების გამოყენებით), ხოლო შეფასებები ჩატარდება ადგილზე, B სასწავლო გარემოში, სათანადოდ რეგულირებული წესების დაცვით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 კვალიფიციური პედაგოგი (მათ შორის 6 ზოგადი, 4 პროფესიული და 1 ქართული ენის მასწავლებელი), რომელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პედაგოგებსა და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები და გააჩნიათ დისტანციური სწავლების გამოცდილება. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ისე ციფრულად კოლეჯის ვებგვერდზე. უზრუნველყოფილია სსსმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირებული გარემო და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები. საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა. აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმების განხილვისას დადგინდა, რომ კოლეჯში მოქმედებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს („დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე“). მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების, სტუდენტების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის ანალიზს. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროცედურები, რომელთა საფუძველზეც შეფასების შედეგების გათვალისწინებით მოხდება პროგრამაში ან მოდულებში საჭირო ცვლილებებისა და გაუმჯობესებების ინიცირება და განხორციელება. აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სწავლა წარიმართება თანმიმდევრული სასწავლო გეგმის მიხედვით, სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, პრაქტიკული და სიმულაციური ამოცანები. ვინაიდან პროგრამა ხორციელდება კოლეჯის იმიტირებულ სამუშაო გარემოში, იგი არ საჭიროებს პარტნიორ საწარმოებთან მემორანდუმებს. სწავლების გარემო უზრუნველყოფს შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების სრულ დაცვას. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, ხორციელდება მტკიცებულებათა შენახვა 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული კომპონენტები შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0


### გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს არსს (ს/კ: 216427999) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ბუთხუზი ნათია



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო  
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გიგაშვილი ეკატერინე





დანართი 1

|                                                                                                                                                                                                     |                                                      |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                               | საბაჟო საქმე                                         |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                          | მეხუთე                                               |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                           | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში      |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                        | 1032                                                 |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                        | ქართული                                              |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები                                                                                                                                                      | ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)                                                                                                                | რეალურ სამუშაო გარემოში                              |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)                                                                                                                                      | კოოპერაციული                                         |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით                                                                                                               | 60                                                   |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | -                                                    |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                        | -                                                    |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                     | 93                                                   |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                     | -                                                    |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                  | 123                                                  |

|                                                                                                                                                                                                     |                                                                              |
